სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**სოციოლოგია** Sociology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**სოციოლოგიის ბაკალავრი** Bachelor of Sociology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა რვა სემესტრია (4 აკადემიური წელი) და ითვალისწინებს სტუდენტის მიერ 240 კრედიტის[1] (ECTS) დაგროვებას: **125 კრედიტი (ECTS) – მაპროფილებელი სასწავლო კურსები:** *ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები 95 კრედიტი (ECTS) (მათ შორის 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი)* *ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები 30 კრედიტი (ECTS);* **45 კრედიტი (ECTS) -საფაკულტეტო სასწავლო კურსები:** *საფაკულტეტო (საგაზისო) სავალდებულო კურსები - 20 კრედიტი (ECTS);* *საფაკულტეტო (საგაზისო) არჩევითი კურსები - 10 კრედიტი (ECTS);* *საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები -15 კრედიტი (ECTS).* **10 კრედიტი (ECTS) – თავისუფალი კრედიტები;** **60 კრედიტი (ECTS) – დამატებითი სპეციალობა (Minor) ან სხვა სასწავლო კომპონენტები საუნივერსიტეტო კურიკულუმიდან.**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**ამირან ბერძენიშვილი,** ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იაგო კაჭკაჭიშვილი,** სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

[1] კრედიტი (1 კრედიტი = 25 საათი) სტუდენტის დატვირთვის საზომი ერთეული - ECTS (კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა), რომლის შემოღების მთავარი მიზანი ქვეყნებს შორის სტუდენტების მობილობის ხელშეწყობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	1. საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. 2. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. 3. საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ვადებში. 4. საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს დარგის კვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისად:** ● უზრუნველყოს სტუდენტები სოციოლოგიურ თეორიებსა და დარგობრივ სოციოლოგიებში საფუძვლიანი ცოდნით; ● გააცნოს სტუდენტებს სოციოლოგიური კვლევის მეთოდების ფართო სპექტრი, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევების და ტრაინგულაციური მიდომების მიმართულებით; ● განუვითაროს სტუდენტებს პრაქტიკული სოციოლოგიური კვლევის განხორციელების უნარ-ჩვევები; ● განუვითაროს სტუდენტს სოციოლოგიური წარმოსახვა და სოციალურ რეალობაზე კრიტიკული რეფლექსიის უნარი.
სწავლის შედეგები	**საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული**:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	1. დეტალურად აღწერს და აანალიზებს სოციოლოგიური აზრის განვითარების ეტაპებს და მისი განვითარების ძირითად ტენდენციებს; 2. სრულყოფილად ერკვევა სოციოლოგიის ძირითად ცნებებში და მრავალფეროვან თეორიულ მიდგომებში.

ბ) უნარები	3. ფლობს სოციალური კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების შესახებ ადეკვატურ ცოდნას და ირჩევს სოციოლოგიური კვლევის შესაფერის მეთოდებს, რათა სიღრმისეულად შეისწავლოს სოციალური პრობლემები და მოიპოვოს სანდო მონაცემები სოციალური რეალობის შესახებ; 4. შეიმუშავებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის დიზაინს, კერძოდ, შეუძლია კვლევის მიზნისა და ამოცანების, აგრეთვე ჰიპოთეზების გამართულად ფორმულირება, რაოდენობრივი და თვისებრივი შერჩევის განხორციელება, მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის მეთოდების ადეკვატურად შერჩევა, აგრეთვე ემპირიული კვლევის განხორციელება ეთიკური სტანდარტების დაცვით, სათანადო ზედამხედველობის ქვეშ; 5. პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე, ადეკვატური დასკვნები გამოაქვს შესასწავლი პრობლემის არსის შესახებ და შესაბამის რეკომენდაციებს შეიმუშავებს მის გადასაჭრელად; 6. კომუნიკაციას ამყარებს ქართულ და უცხო ენაზე (ინგლისური ენა, B2) როგორც კვლევის მონაწილეებთან/რესპონდენტებთან, ისე დარგის წარმომადგენლებთან, რათა კვლევის მონაცემები გააცნოს და პროფესიულ დისკუსიებში ჩაერთოს.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	7. აცნობიერებს პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვის აუცილებლობას სოციოლოგიური კვლევის ჩატარებისას და ამ მიზნით იცავს კვლევის ობიექტის (ადამიანი, ჯგუფები) უფლებებს (პირველ რიგში, მათ კონფიდენციალურობას და ანონიმურობას); ასევე, აღიარებს კულტურული მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის პრინციპებს; 8. ავტონომიურია გადაწყვეტილებების მიღებაში და უარს ამბობს მიკერძოებული კვლევების ჩატარებაზე, კერძო პირებისა თუ ლობისტური ჯგუფების კარნახით;

	9. იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს და თავს არიდებს პლაგიატს.
სწავლება-სწავლის მეთოდები	1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი 2. წიგნზე მუშაობის მეთოდი 3. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და ა.შ. 4. პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ - ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა 5. საველე მუშაობა და სხვ. 6. ელექტრონული სწავლების მეთოდები.
შეფასების სისტემა	დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. **შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** **ა)** (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; **გ)** (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; **დ)** (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; **ე)** (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; **არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:** **ვ)** (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; **ზ)** (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. *დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.*

	შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ფორმები და ქულები** *(სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის[2] მიხედვით):* **საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.** **საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით** (იხილეთ შეფასების კრიტერიუმები). საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში **„(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა“,** შეფასების მიღების შემთხვევაში, დაინიშნება დამატებითი გამოცდა, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში; **„(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები“,** შეფასების მიღების შემთხვევაში, ნაშრომის დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. **საბაკალავრო ნაშრომს აფასებს:** ხელმძღვანელი, რეცენზენტი და კომისია. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება (ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და კომისიის), მაქსიმალური ქულა – 100. დადებითი შეფასება – მინიმუმ 51 ქულა. • **ხელმძღვანელის შეფასება - 20 ქულა**

[2] საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი https://bit.ly/2WhKPsQ

	• **რეცენზენტის შეფასება - 40 ქულა** • **ნაშრომის პრეზენტაცია (ზეპირი წარდგენა) - 40 ქულა** **ზეპირ წარდგენაზე დაშვების წინაპირობა:** სტუდენტს ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასების შემდეგ, დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 ქულისა. **შეფასების კრიტერიუმები:** ხელმძღვანელის შეფასება - მაქსიმალური ქულა - 20, მინიმალური ქულა - 10. *ა) შინაარსობრივი მხარე - 10 ქულა:* • საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება; • ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა; *ბ) ფორმალური მხარე - 10 ქულა:* • ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა; • გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი და სხვ. რეცენზენტის შეფასება - მაქსიმალური ქულა - 40, მინიმალური ქულა - 20. *ა) შინაარსობრივი მხარე - 20 ქულა:* • საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება; • ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა; *ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 10 ქულა:* • პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი *გ) ფორმალური მხარე - 10 ქულა:* • ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა; • დიზაინი, გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი და სხვ. ნაშრომის პრეზენტაცია (ზეპირი წარდგენა) - მაქსიმალური ქულა – 40, მინიმალური ქულა - 21. ფასდება კომისიის წევრების მიერ საჯარო დაცვის დროს. *ა) ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - 15 ქულა:* • საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება; • ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა;

	• კვლევის მეთოდოლოგია, პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი. *ბ) საპრეზენტაციო მოხსენების რელევანტურობა საბაკალავრო ნაშრომთან – 10 ქულა;* *გ) აუდიტორიასთან კომუნიკაცია ეთიკის სტანდარტების დაცვით - 5 ქულა;* *დ) ნაშრომისა და პრეზენტაციის ფორმალური მხარე – 10 ქულა:* • საპრეზენტაციო მასალის გაფორმება და შესრულების დონე • ნაშრომის/პრეზენტაციის ენობრივი და სტილისტური გამართულობა. **შენიშვნა:** საბაკალავრო ნაშრომების შეფასება შეიძლება განხორციელდეს როგორც საჯარო დაცვის ფორმით, ისე საჯარო დაცვის გარეშე. კომისიის შემადგენლობა (არანაკლები 3 წევრისაგან) მტკიცდება დეკანის ბრძანებით. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის/დაცვის გარეშე შეფასების გრაფიკს საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ადგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. გრაფიკი მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.
დასაქმების სფეროები	სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია შრომითი საქმიანობის დაწყება ყველა იმ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც ზოგადი კვალიფიკაციის სოციოლოგს საჭიროებს. ასეთი კვალიფიკაცია კი პრინციპულად ყველა სფეროში არსებულ ორგანიზაციას შეიძლება დასჭირდეს. კუსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაზე.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	**პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი:** 1. იაგო კაჭკაჭიშვილი - პროფესორი 2. ამირან ბერძენიშვილი - პროფესორი 3. ლია წულაძე - ასოცირებული პროფესორი 4. კახა ქეცბაია - ასოცირებული პროფესორი 5. ნინო დურგლიშვილი - ასოცირებული პროფესორი 6. ლელა გაფრინდაშვილი - ასოცირებული პროფესორი 7. ნათელა დონაძე - ასოცირებული პროფესორი 8. ანა დიაკონიძე - ასოცირებული პროფესორი 9. შორენა თურქიაშვილი - ასისტენტ- პროფესორი **პროგრამის განხორციელებისთვის არსებული მატერიალური რესურსი:** თსუ სოციოლოგიის მიმართულებას ემსახურება სარესურსო ცენტრი, რომელიც მოიცავს: ● ექვს გარემონტებულ ოთახს (ფართი დაახლოებით 140კვ.მ) ● ბიბლიოთეკას, დაახლოებით 1400 წიგნით სოციალური მეცნიერებების სფეროში ● 22 უახლესი მოდელის კომპიუტერს ● 24 საათიან ინტერნეტ მომსახურებას ● 5 პრინტერს ● ქსეროკოპირების მანქანას ● 2 პროექტორს ● ფაქსს, სკანერს და ა.შ. სარესურსო ცენტრი ღიაა 9 - დან 18 საათამდე სამუშაო დღეებში. სარესურსო ცენტრის მომსახურებით ყოველდღიურად სარგებლობს 50 – ზე მეტი სტუდენტი.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის განხორციელებას ფინანსურად უზრუნველყოფს თსუ.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში. ● სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები;

	• სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება. საბაკალავრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin”-ის გამოყენებით. ამ მიზნით ნაშრომის დაცვამდე ბაკალავრი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, მის პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე http://e-learning.tsu.ge/ .
დამატებითი ინფორმაცია	თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ოთხ საბაკალავრო პროგრამაზე (სოციოლოგია; სოციალური მუშაობა; საზოგადოებრივი გეოგრაფია; პოლიტიკის მეცნიერება) სტუდენტთა ჩარიცხვა/მიღება ხდება ერთიანი სიით (455 სტუდენტი). სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამას ერთიანი სიით ჩარიცხული სტუდენტებიდან ყოველწლიურად ირჩევს საშუალოდ 100-მდე სტუდენტი. თსუ–ს ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ სოციოლოგიის საბაკალავრო სასწავლო პროგრამის ბაზაზე შეიძინონ დამატებითი (minor) სპეციალობა, რისთვისაც მათ მოუწევთ დააგროვონ 60 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსების საფუძველზე. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზნობრივ-სამეცნიერო პროექტებსა და სტუდენტურ კონფერენციებში.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

მიმართულება: სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სოციოლოგია

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

კრედიტების რაოდენობა: 240 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები/კოორდინატორიები:

ამირან ბერძენიშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

იაგო კაჭკაჭიშვილი, სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: №69/2021, 29/07/2021 (დანართი № 37)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): №90370; 14/01/2022 – 31/12/2028
https://eqe.ge/ka/deqars/477/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2021-2022 გაზაფხულის სემესტრი

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[3] ნომერი და თარიღი): №22/2022 – 11/03/2022; №61/2022 - 26/07/2022; №95/2022 -07/10/2022; №24/2023 - 20/03/2023; №91/2023 – 11/09/2023; №28/2024 – 22/02/2024; №62/2024 – 29/04/2024; №113/2024 – 09/09/2024.

[3] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო სასწავლო კურსები - 45 კრედიტი (ECTS) მათ შორის:											
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო სასწავლო კურსები - 20 კრედიტი (ECTS)											
N	**სასწავლო კურსის სახელწოდება**	**ECTS**	**სტუდენტის საათობრივი დატვირთვა**					**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი / ლექტორები**
			საკონტაქტო								
			ლექცია	**სემინარი/სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი**	**გამოცდის დრო**	**დამოუკიდებელი**	**სულ**		**შემოდგომის**	**გაზაფხულის**	
1	სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	5	15	15	5	90	125	არჩევა მე-2 სემესტრიდან	✓	✓	ნინო დურგლიშვილი თეონა მატარაძე ნათელა დონაძე მარინა ბურძენიძე შორენა თურქიაშვილი

											თამარ ქარაია მირანდა გიორგაშვილი მირანდა აბრამიშვილი
2	ინგლისური ენა 1 (A 1.1; A 2.1; B 1.1; B 2.1;)	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის პედაგოგი
3	აკადემიური წერა	5	15	15	0	95	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	რევაზ ჯორბენაძე თამარ ვეფხვაძე ნათია სვანიძე ლელა წიქარიშვილი თინათინ მაჭარაშვილი მირანდა გიორგაშვილი მირანდა აბრამიშვილი მარიამ კვერღელაძე თეონა თაბუაშვილი
4	ინგლისური ენა 2 (A 1.2; A 2.2; B 1.2; B 2.2)	5	30	30	5	60	125	ინგლისური ენა 1		✓	ენების ცენტრის პედაგოგი
საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი (ECTS)											
1	გამოყენებითი ეკონომიკა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ჯამლეტ ჯანჯღავა ზურა გამთენაძე
2	კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გუგული მაღრაძე ლაშა ტუღუში მირანდა მიქაძე თამარ დორეული
3	ლოგიკა	5	30	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მოწვეული ლექტორი

4	ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია	5	30	0	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	კოსტანტინე შუბითიძე
5	მეტყველების კულტურა (არაჟურნალისტებისთვის)	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იური ფოფხაძე ნინო გელოვანი
6	ფილოსოფიის საფუძვლები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ვალერიან რამიშვილი გიორგი გრიგოლაშვილი
7	საზოგადოებრივი განვითარება და ბუნებრივი გარემო	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ვალერიან მელიქიძე
8	მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ტრანსფორმაცია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	ჯაბა უროტაძე
9	გამოყენებითი გეოინფორმაციული სისტემები	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		ვლადიმერ ჩხაიძე დავით სვანაძე
10	საქართველო მსოფლიოს ისტორიულ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	რევაზ გაჩეჩილაძე ტატიანა სიჭინავა
საფაკულტეტო არჩევითი შესავალი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი (ECTS) (სტუდენტებს ევალებათ 3 საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსის გავლა)											
1	სოციალური მუშაობის შესავალი	5	15	15	2	93	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნათელა ფარცხალაძე ზურაბ ტატანაშვილი მაგული შაღაშვილი გიორგი წოწკოლაური სალომე ნამიჭეიშვილი ნინო შატბერაშვილი
2	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თამარ დოლბაია იოსებ სალუქვაძე

											გიორგი კვინიკაძე ლუიზა აბაზაძე
3	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	5	15	30	5	89	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სალომე დუნდუა მალხაზ მაცაბერიძე ზვიად აბაშიძე კორნელი კაკაჩია ელენე გელაშვილი ვლადიმერ ნაფეტვარიძე სანდრო ტაბატაძე
4	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	5	30	15	6	74	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თორნიკე თურმანიძე ფიქრია ასანიშვილი კოსტანტინე შუბითიძე გვანცა აბდალაძე
5	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მანანა შამილიშვილი მარი წერეთელი თინათინ მაჭარაშვილი ნათია სვანიძე
სოციოლოგიის მაპროფილებელი სავალდებულო კურსები - 95 კრედიტი (ECTS) მათ შორის, საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი (ECTS)											
სოციალური თეორიები -30 კრედიტი (ECTS)											
1	სოციოლოგიის შესავალი	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იაგო კაჭკაჭიშვილი ამირან ბერძენიშვილი ლაშა მათიაშვილი შორენა თურქიაშვილი კახა ქეცბაია ნინო ამონაშვილი

2	პროტოსოციოლოგიური თეორიები	5	15	30	5	75	125	სოციოლოგიის შესავალი		✓	ამირან ბერძენიშვილი ლაშა მათიაშვილი
3	კლასიკური სოციალური თეორიები	5	15	30	5	75	125	პროტოსოციოლოგიური თეორიები	✓		ამირან ბერძენიშვილი
4	თანამედროვე სოციალური თეორიები I	5	15	15	4	91	125	კლასიკური სოციალური თეორიები	✓		იაგო კაჭკაჭიშვილი
5	თანამედროვე სოციალური თეორიები II	5	15	30	5	75	125	თანამედროვე სოციალური თეორიები I		✓	ამირან ბერძენიშვილი
6	პოსტმოდერნული სოციალური თეორიები	5	15	15	6	89	125	თანამედროვე სოციალური თეორიები I		✓	იაგო კაჭკაჭიშვილი
სოციოლოგიური კვლევის მეთოდები -35 კრედიტი (ECTS)											
7	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები I	5	15	15	5	90	125	სოციოლოგიის შესავალი	✓		ნინო დურგლიშვილი
8	რაოდენობროვი კვლევის მეთოდები II	5	15	15	5	90	125	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები I		✓	ნინო დურგლიშვილი
9	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I	5	15	15	4	91	125	სოციოლოგიის შესავალი; სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	✓		ლია წულაძე ნათელა დონაძე
10	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II	5	15	15	4	91	125	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I		✓	ლია წულაძე ნათელა დონაძე
11	მონაცემთა ანალიზი 1	5	15	15	5	90	125	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II; სტატისტიკა	✓		ნინო დურგლიშვილი
12	მონაცემთა ანალიზი 2	5	15	15	5	90	125	მონაცემთა ანალიზი 1		✓	ნინო დურგლიშვილი
13	სტატისტიკა სოციოლოგიისთვის	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ომარ ფურთუხია პეტრე ბაბილუა მზევინარ ფაცაცია

											სიმონ ელოშვილი ნორა კეკელია მიმოზა ტყებუჩავა ქეთევან მანჯგალაძე
სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი-20 კრედიტი (ECTS)											
13	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი I	5	15	30	5	75	125	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები II; სტატისტიკა	✓		მარინა ბურძენიძე ნინო დურგლიშვილი ანა დიაკონიძე თინათინ გვენეტაძე
14	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი II	5	15	30	5	75	125	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი I		✓	მარინა ბურძენიძე თინათინ გვენეტაძე ნინო დურგლიშვილი
15	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი I	5	15	30	5	75	125	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II	✓		იაგო კაჭკაჭიშვილი მარინა ბურძენიძე ნათელა დონაძე ლია წულაძე
16	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი II	5	15	30	5	75	125	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი I		✓	იაგო კაჭკაჭიშვილი მარინა ბურძენიძე ნათელა დონაძე ლია წულაძე
17	საბაკალავრო ნაშრომი	10	30			220	250	სავალდებულო კურსები	✓	✓	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი
სოციოლოგიის სპეციალობის არჩევითი კურსები: დარგობრივი სოციოლოგია - 30 კრედიტი (ECTS)											
18	ოჯახის სოციოლოგია	5	15	15	4	91	125	სოციოლოგიის შესავალი	✓		შორენა თურქიაშვილი
19	კულტურის სოციოლოგია	5	15	15	5	90	125	სოციოლოგიის შესავალი		✓	ლია წულაძე

20	დანაშაულის სოციოლოგია	5	15	15	4	91	125	სოციოლოგიის შესავალი	✓		შორენა თურქიაშვილი
21	მეცნიერების სოციოლოგია	5	15	15	6	89	125	სოციოლოგიის შესავალი		✓	კახა ქეცბაია
22	ხელოვნების სოციოლოგია	5	15	15	5	90	125	სოციოლოგიის შესავალი	✓		გიორგი გაბელია ლაშა მათიაშვილი
23	გენდერის სოციოლოგია - თანამედროვე კვლევები	5	15	30	4	76	125	სოციოლოგიის შესავალი		✓	ლელა გაფრინდაშვილი
24	რელიგიის სოციოლოგია	5	15	15	4	91	125	სოციოლოგიის შესავალი	✓		კახა ქეცბაია
25	პოლიტიკური სოციოლოგია	5	15	30	4	76	125	სოციოლოგიის შესავალი		✓	ამირან ბერძენიშვილი
26	შრომის სოციოლოგია	5	15	15	4	91	125	სოციოლოგიის შესავალი		✓	ანა დიაკონიძე
27	ენის სოციოლოგია (სოციოლინგვისტიკა)	5	15	15	5	90	125	სოციოლოგიის შესავალი		✓	მარინა ბურძენიძე
28	სოციალური ფსიქოლოგია	5	15	15	3	92	125	სოციოლოგიის შესავალი	✓		თამარ მახარაძე
29	SPSS	5	15	15	5	90	125	სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	✓	✓	ივანე კეჭაყმაძე
30	ეკონომიკის სოციოლოგია	5	15	15	4	91	125	კლასიკური სოციალური თეორიები		✓	ანა დიაკონიძე
31	განათლების სოციოლოგია	5	15	15	4	91	125	სოციოლოგიის შესავალი		✓	კახა ქეცბაია
32	მასკულინობის კვლევები	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓	თამთა მელაშვილი
33	გენდერი: ინტერდისციპლინური კვლევები	5	15	30	4	76	125	სოციოლოგიის შესავალი	✓		ლელა გაფრინდაშვილი
34	დარგობრივი ინგლისური ენა სოციალურ მეცნიერებებში	5	15	15	6	89	125	ინგლისური ენა 2	✓		ნინო ბოლქვაძე
35	ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნოდარ ბელქანია

36	ბიოგრაფიკა	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნოდარ ბელქანია
37	სოციალური სივრცე და ურბანული განვითარება	5	15	15	4	91	125	სოციოლოგიის შესავალი		✓	იაგო კაჭკაჭიშვილი
38	უმცირესობათა პერსპექტივა (სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამიდან)	5	15	15	4	91	125	სოციოლოგიის შესავალი	✓		თენგიზ ვერულავა
39	სამართლის სოციოლოგია	5	15	15	5	90	125	სოციოლოგიის შესავალი კლასიკური სოციალური თეორიები	✓		რატი შუბლაძე
40	ჯანდაცვის სოციოლოგიის საფუძვლები	5	15	15	4	91	125	წინაპირობების გარეშე	✓		თენგიზ ვერულავა
41	შესავალი ფემინისტურ ნააზრევში	5	15	15	4	91	125	წინაპირობების გარეშე		✓	მაია ტაბიძე თამთა მელაშვილი მარიამ ჭანჭალეიშვილი
42	სამოქალაქო საზოგადოება შედარებით პერსპექტივაში	5	15	15	5	90	125	სოციოლოგიის შესავალი	✓		მარინა მუსხელიშვილი
43	ალბათურ- სტატისტიკური მეთოდების გამოყენება სოციალურ კვლევაში	5	15	15	7	88	125	სტატისტიკა	✓		ქეთევან მანჯგალაძე
თავისუფალი კრედიტები - 10 კრედიტი (ECTS)											

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დამატებითი (Minor) პროგრამა სოციოლოგიაში
(60 კრედიტი)
საგნების განაწილება საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების მიხედვით (ყველა საგანი 5 კრედიტიანია)

საშემოდგომო სემესტრი (სექტემბერი-დეკემბერი)					საგაზაფხულო სემესტრი (მარტი-ივნისი)			
#	კურსები	კურსის შესწავლის წინაპირობა	პედაგოგი		#	კურსები	კურსის შესწავლის წინაპირობა	პედაგოგი
სავალდებულო (სულ 40კრედიტი)								
1.	სოციოლოგიის შესავალი	_	იაგო კაჭკაჭიშვილი ამირან ბერძენიშვილი ლაშა მათიაშვილი კახა ქეცბაია შორენა თურქიაშვილი ნინო ამონაშვილი			სოციოლოგიის შესავალი	_	იაგო კაჭკაჭიშვილი ამირან ბერძენიშვილი ლაშა მათიაშვილი კახა ქეცბაია შორენა თურქიაშვილი ნინო ამონაშვილი
2.	თანამედროვე სოციალური თეორიები I	N1,5	იაგო კაჭკაჭიშვილი		6.	თანამედროვე სოციალური თეორიები 2	N5,2	ამირან ბერძენიშვილი
3.	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები 1	N1	მარინა ბურძენიძე ნინო დურგლიშვილი		7.	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები 2	N 3	მარინა ბურძენიძე ნინო დურგლიშვილი

4.	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები 1	N1	ნათელა დონაძე ლია წულაძე		8.	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები 2	#4	ნათელა დონაძე ლია წულაძე
5.	კლასიკური სოციალური თეორიები	N1	ამირან ბერძენიშვილი					
არჩევითი (სულ 20 კრედიტი) **სტუდენტს შეუძლია 20 კრედიტი დააგროვოს ძირითადი სპეციალობის არჩევითი საგნების საფუძველზე**								

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი